დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ
2025 წლის 20 აგვისტოს N02/251_ბრძანება
დანართის სახით

სკოლის დირექტორი: მ. ჭოხონელიძე

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური გზამკვლევი

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ასევე კურიკულუმის შეფასება მონიტორინგი, შემდგომი რევიზირება და გადასინჯვა განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიას.

აღწერს:

- კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს;
- პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმი განვითარების პროცესი;
- კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია).

1.1. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები

სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) საგნობრივ კურიკულუმებს,

ბ) სასკოლო პროექტებს,

გ) სადამრიგებლო საათს,

დ) დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

1.2. პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი.

კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;

სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაშიმიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

1.3. კურიკულუმის განვითარების ეტაპები

სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია.

1.3.1 კურიკულუმის რევიზია

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში:
  სასწავლო პროცესი ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებაზე. კურიკულუმებში აქტივობები დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეებში განვითარდეს თანამშრომლობა, ეფექტური კომუნიკაცია, თვითრეგულაცია, რეალური პრობლემების გადაწყვეტა და ინოვაცია, შეძლონ ცოდნის კონსტრუირება და ისტის გამოყენება. მოსწავლეებშიკრიტიკული, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი უნარების, ლოგიკური მსჯელობისა და სიტყვით გამოსვლისათვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების ბაზაზე, ფუნქციონირებს წიგნიერების კლუბი.
  2024-2025 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე იგეგმება მეათე კლასში არჩევით საგნად „ მედიაწიგნიერების“ შემოტანა. ასევე,

[1] დამხმარე პროცესები პირობითად შიეძლება ვუწოდოთ სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ისეთ სფეროებს როგორებიცაა: (ა) პერსონალის მართვა და განვითარება, (ბ) ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, (გ) ინფრასტრუქტურის განვითარება, (დ) სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, (ე) ფინანსური რესურსების მართვა, (ვ) მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება.

მმართველობით პროცესები შეიძლება ეწოდოს - სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესს.

მოსწავლეთა ინიციატივით იგეგმება სასკოლო პროექტის განხორციელება სამივე საფეხურზე, რომელშიც წინა წელთან შედარებით მეტი მოსწავლე იქნება ჩართული. (თემატიკა - დემოკრატიული კომპეტენციების განვითარება სასკოლო ცხოვრებაში)

- მოსწავლეთა შედეგები:

2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეთა მოსწრების გასაუმჯობესებლად ატარებდა სასკოლო წერებს, წლიურ გამოცდებს. თითოეული კათედრა აკეთებდა ჩატარებული შემაჯამებელი წერების ანალიზს.
2023-2024 სასწავლო წელს ჩატარდა სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად მესამე ინსტრუმენტის გამოყენება.(საკლასო წერა)
2024–2025 სასწავლო წელს ჩატარდა სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასებისჩასატარებლად მესამე ინსტრუმენტის გამოყენება.(საკლასო წერა)
2025-2026სასწავლო წელა ჩატარდება სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასებისჩასატარებლად პირველ ინსტრუმენტის გამოყენება.(კომპლექსური/კომპლექსური ტიპის დავალებები)

ინსტრუმენტი 1.

<u>მიზანი</u> - მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება.

<u>ორგანიზება</u> - პარალელურ კლასებთან მომუშავე საგნის მასწავლებლები თანხმდებიან დათქმულ დროს (მაგალითად, სექტემბრში, აპრილის თვეში და ივნისში) პარალელურ რეჟიმში განახორციელონ იდენტური კომპლექსური დავალებები და რამდენიმე (მაგალითად, სიის მიხედვით ყოველ მეხუთე ბავშვის) მოცემულობა დეტალურად აღწერონ ქვემოთ მოცემული ფორმის გამოყენებით:

ანგარიშის ფორმა
რა უნდა მომხდარიყო? (რა საკითხთან/ქვესაკითხი უნდა შეესწავლა მოსწავლეს? რა კომპლექსური/კომპლექსური ტიპის დავალება უნდა გამოეყენებინა საკუთარი ცოდნის წარმოსაჩენად?)
რა მოხდა? (რამდენად კარგად გაართვა მოსწავლემ თავი გამოწვევას ?)მოცემულობა აღწერეთ მაქსიმალურად დეტალურად
რით შეიძლება აიხსნას სხვაობა მომხდარსა და დაგეგმილს შორის?
თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს მომავალში სხვანაირად?
დამატებითი კომენტარი

<u>ანალიზი</u> - სკოლაში იქნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის სკოლის დირექციის წარმომადგენელი და საგნის რამდენიმე პედაგოგი. ჯგუფის წარმომადგენლები ეცნობიან ანგარიშის შევსებულ ფორმებს და გამოკვეთენ მოსწავლეების ტიპურ პრობლემებს. დაკვირვების შედეგები მათ უნდა წარმოადგინონ შემდეგი ფორმით:

ტიპური პრობლემა	პრობლემის აღწერა სათანადო მაგალითებით	იდენტიფიცირებული პრობლემის მნიშვნელობა
1.		
2.		

დასკვნების განზოგადება ხდება საფეხურის დონეზე საგნის/კათედრის დონეზე. თუმცა, თუკი დიაგნოსტირება ჩატარდება პარალელურად ხუთ საგანში, მაშინ პროცესები შესაძლოა სკოლის დონეზეც გაანალიზდეს. ასეთ შემთვევაში საჭირო იქნება კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც სხვადასხვა საგნებში გამოკვეთილ ტენდენციებს შეაჯერებენ.
დიაგნოსტირება ჩატარდება წელიწადში ერთხელ

- მშობელთა ჩართულობა:

  სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მშობლების ჩართულობით. სკოლის მისია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს სკოლის ღირებულებებსა და ხედვას, წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს. მისიისა და ხედვის განაცხადის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიზნით, მოხდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირება. მშობელთა დაინტერესებულ პირთა ჯგუფში მომზადდა მისიისა და ხედვის პირველადი ვერსია. უკუკავშირის მიზნით, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ჯგუფები გაეცნენდოკუმენტს. მათი მხრიდან რჩევა/რეკომენდაციების მიღების შემდეგ, მომზადდა, მისიისა და ხედვის საბოლოო ვერსია. სასკოლო სასწავლო გეგმა და დამტკიცდა დირექტორის მიერ პედ.საბჭოს სხდომაზე. განახლდა სასწავლო პროცესი

  მშობელთა ჩართულობით, წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით პირველ კლასში მოსწავლეთა მშობლებმა დამრიგებელთან თანამშრომლობით, მოსწავლეებს წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წაუკითხეს წიგნები, იმსჯელეს წაკითხული წიგნების შესახებ და დახატეს პერსონაჟები. მშობლები აქტიური მონაწილეები არიან კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში. კერძოდ, მე-2 კლასში ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა პროფესიით ექიმმა, დამრიგებელთან თანამშრომლობით, დაგეგმა და ჩაატარა გაკვეთილი თემაზე: ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი=ბედნიერ ცხოვრებას“

  2025-2026 სასწავლო წელს სკოლა გააგრძელებს, მშობელთა პროფესიებიდან გამომდინარე, მათ აქტიურ ჩართვას პროექტებსა და აქტივობებში.

- კათედრის მუშაობა:

  სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, მათ შორის: დირექციასთან,პედაგოგიურ საბჭოსთან, ხარისხის მართვის შიდა მონიტორინგის ჯგუფთან და ხარისხის მართვის მენეჯერის ინიციატივით მართავს სამუშაო შეხვედრაბს. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის

გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. 2025-2026 სასწავლო წელს ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს თანამშრომლობითი კულტურის კიდევ უფრო მეტად ამაღლებას. მაგალითად, სხვადასხვა კათედრებისწარმომადგენლები ერთობლივად დაგეგმავენ ინტეგრირებულ აქტივობებს, ჩაერთვებიან საერთაშორირო პროექტებში. მოხდება ურთიერთდასწრება, გაანალიზება და კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემა.

- სკოლის დირექცია:

  სკოლის კურიკულუმის განხორციელების ეტაპზე მონიტორინგის მიზნით ხდება პროცესზე დაკვირვება. შემუშავების პროცესში გამოიკვეთა საჭიროებები, ამასთანავე, ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება, იგეგმება კურიკულუმის განვითარების გზები, რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება, რომელშიც ჩართულია სკოლის დირექცია, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ის, თუ როგორ (რა საშუალებებით)ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი დაშეფასება. მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: მიზნებისა და ამოცანების, ინდიკატორების, მონაცემთა შეგროვების მეთოდებისა და ვადების, როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმის შექმნა და შედეგების გავრცელება და ასახვა.

სკოლა გეგმავს რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებას მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;

სკოლას აქვს 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი

<u>1.3.2 კურიკულუმის შემუშავება:</u>

კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

კურიკულუმის ჩარჩოზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია) - კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალურ ჩარჩოს შესახებ მსჯელობით. განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი რეალიზების გზები. სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე.

- დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა:

- კურიკულუმის ჩარჩოზე მუშაობისას სკოლა გაითვალისწინებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების აგების პრინციპებს და მეთოდიკურ ორიენტირებს, რომლებიც ქმნიან თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების შესაძლებლობებს:

- საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, რაც გულისხმობს იმას, რომ მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს;

- სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით;
- სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად;
- თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება;
- სასწავლო პროცესისთვის რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად;
- სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათისმქონე ინდივიდად, რომელიც თავად არის საკუთარი ცოდნის მწარმოებელი და სწავლის პროცესის წარმმართველი;
- სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწვალეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა დასაერთო ასპექტების დამუშავება;
- სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით და სწავლების კავშირით მოსწავლის ინეტერსებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის;
- სწავლება ეფუძნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების (როგორც ფიზიკური და კოგნიტური, ასევე ფსიქო-სოციალური განვითარების) ხედვას პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის უზრუნველყოფისა / სოციო-ემოციური სწავლის გზით).

- კურიკულუმის დიზაინი - სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება
    - რომელი საგნები უნდა ისწავლებოდეს ამა თუ იმ საფეხურზე (რამდენი საათი დაეთმობა თითოეულ მათგანს, რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლა-სწავლება);

- რა სასკოლო პროექტები განხორციელდება (რომელ პრიორიტეტულ თემებს შეეხება სასკოლო პროექტები; რა კავშირშია იქნებიან ისინი ფორმალურ და არაფორმალურ განათლებასთან);
- რა დამატებით საგანმანათლებლო სერვისებს შესთავაზებს სკოლა მოსწავლეებს;
- სწავლა-სწავლების რა მეთოდები და სტრატეგიები იქნება გამოიყენებული დასახული მიზნების მისაღწევად (მაგალითად, საგანთა შორის ინტეგრირება, ტექნოლოგიების გამოყენება, კომპლექსური დავალება (როგორც სწავლების მეთოდი) და სხვა);
- რა ინსტრუმენტების გამოყენება მოხდება სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, დანერგვის პროცესთან დაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის;
- რა ტიპის სასწავლო რესურსების გამოიყენება მოხდება სასწავლო მიზნების მისაღწევად (გრიფირებული სახელმძღვანელოები; დამატებითი სასწავლო მასალა (მათ შორის ციფრული რესურსები); რესურსები, რომლებსაც სკოლას სასკოლო საზოგადოების წევრები (მაგალითად, მშობელები) და გარე პარტნიორები სთავაზობენ (მაგალითად, ექსკურსიების ორგანიზება, მუზეუბში ვიზიტი).

-კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა:

ა) შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას;
ბ) სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას.

შუალედური სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში მოხდება:

- საკითხების შერჩევა, რომელიც ისწავლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეება წინა წლისსასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა);
- საკითხების განსაზღვრა, რომლებიც ისწავლება სხვა საგნის საკითხებთან ინტეგრირებით;
- იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით);
- აქტივობებისა და სასწავლო რესურსების აღწერა, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა წელს შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას; ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმებისგანსაზღვრა - ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ.

მასწავლებელი - სასწავლო პროცესში ჩართულმა თითოეულმა პედაგოგმა, გარდა იმისა, რომ ჩაატარებს გაკვეთილებს:

- უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით (ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა);
- მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს.

კათედრის თავჯდომარე - კათედრის თავმჯდომარემ:

- უნდა შეათანხმოს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების / სასწავლო პროცესის შესახებ;
- უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს (შექმნას დღის წესრიგი, გამოკვეთოს პრობლემური საკითხები);
- უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად;
- დათქმულ ვადებაში სკოლის დირექციას უნდა მიაწოდოს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებული მასალები, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას;
- მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში; იყოს შუამავალი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.

სკოლის დირექცია - კურიკულუმის დანერგვის პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს, კერძოდ:

- ფასილიტაცია გაუწიოს შეთანხმებას დანერგვისა ინსტრუმენტების შექმნასადა გამოყენებაზე;
- გაამთლიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

- უზრუნველყოს სამუშაო შეხვედრების გამართვა კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით (შესაძლოა სხვა მასწავლებლების ჩართულობითაც), სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები; შემუშავდება რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად; ინოვაციების დასანერგად;
- მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში; უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია;
- ხელი შეუწყოს სკოლის ბაზაზე მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას;
- კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება დადასამტკიცებლად მომზადება;
- უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესის შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირება;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებთან/სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით (წინასწარ შეთანხმებული ფორმით);
- მონაწილეობა მიიღოს თვითშეფასების პროცესში.

ზემოჩამოთვლილი ფუნქციების შესრულებაში დირექციას დასჭირდება პედაგოგების დახმარება. ეს ფუნქცია მათ შესაძლოა დაეკისროთ დამატებითი ბრძანების საშუალებით.

სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- პორტალი ვებგვერდზე;
- სოციალური მედია;
- ბეჭდვითი მასალები;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

ვადები:

სასკოლო სასწავლო გეგმაზე მუშაობა მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში, თუმცა, დოკუმენტი მტკიცდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იგეგმება კათედრის მიერ შეთანხმებული კურიკულუმის გათვალისწინებით და მტკიცდება სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ.

1.3.3 კურიკულუმის დანერგვა

კურიკულუმის დანერგვა გულისხმობს წლის დასწყისში დაგეგმილი პროცესის განხორციელებას. ამ პროცესში:

- პედაგოგი კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედურ სასწავლო მიზნების დაძლევაში; პარალელურად კი ინიშნავს აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას რომელიც გულისხმობს: ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას; ბ) კომენტარს (დაზუსტება, წახალისება, შენიშვნა), რომელიც უზრუნველყოს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით; გ) მოსწავლის თვითშეფასებას; დ) მასწავლებლის თვითრეფლექსიას;

- გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელი კათედრისთვის ამზადებს თემატურ მატრიცას, რომელსაც განიხილავს კოლეგებთან ერთად;
- სასწავლო თემაზე მუშაობის პროცესში იმართება კათედრის სულ ცოტა ერთი სხდომა, სადაც პარალელური კლასის მასწავლებლები წარმოადგენენ საკუთარ თემატურმატრიცებს და თანხმდებიან რა გაითვალისწინონ მომდევნო წელს იგივე თემის სწავლა- სწავლების პროცესში; კათედრის სხდომის შინაარსი (მაგალითად, რომელი თემის სწავლა- სწავლებს შეეხებოდა შეხვედრა; როდის და რომელმა პედაგოგებმა განახორციელეს მატრიცა და წარმოადგინეს პრეზენტაცია - რა იყო მათთვის მთავარი სათქმელი; რა სადისკუსიო საკითხები გამოიკვეთა სხდომაზე; რაზე შეთანხმდნენ კათედრის წევრები) ხელმისაწვლდომია იყოს კათედრის წევრისთვის და სკოლის დირექციისთვის (ვინაიდან სასკოლო კურიკულუმის განვითარება ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს);
- სასწავლო თემაზე მუშაობასას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს; ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის.

1.3.4 სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ:

- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი);
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

დამატებით იხილეთ ბმულზე სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ინსტრუქციები
https://www.youtube.com/watch?v=E1E_FQydauA